

არემჯი

# სიასტატი

რიჩ მეტალს გრუპი

N 11 | თებერვალი | 2015



## “არემჯის” თანამშრომლებმა პროფკავშირთა რიგები მასობრივად დატოვეს

კომპანია “არემჯი გოლდისა” და “არემჯი კოპერის” თანამშრომლებმა პროფესიული კავშირის რიგები მასობრივად დატოვეს. მედიის საშუალებით მათ ოფიციალური განცხადება გაავრცელეს, სადაც გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის ირაკლი პეტრიაშვილსა და სამთო-ქიმიური პროფკავშირების თავმჯდომარის თამაზ დოლაბერიძის ცრუ განცხადებებს უპასუხეს. პროფკავშირთა ლიდერების ცილისწამება, თითქოსდა “არემჯის” პროფკავშირთა რიგებიდან წევრების გადინება კომპანიის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან ზეწოლითა და დაშინებით იყო გამოწვეული, “არემჯი კოპერის” პროფკავშირის ყოფილი თავმჯდომარის, ავთანდილ ბაქრაძის განცხადებით, არ შეესაბამება სიმართლეს. “მუშა-მოსამსახურეებმა

დარგის პროფკავშირებს უნდობლობა გამოუცხადეს და მასობრივად დაწერეს პროფკავშირებიდან გასვლის შესახებ განცხადებები. ძირითადი მიზეზი, თუ რატომ გადაწყვიტე რიგებიდან გამოსვლა, იყო ის, რომ პროფკავშირთა წევრებისგან დარიცხულ თანხას მთლიანად თამაზ დოლაბერიძე განკარგავდა. იყო ზეწოლა ჩემზე, რომ რაც შეიძლება მეტი თანხა გაეტანათ. თანხის 30% რჩებოდა დარგს. თუმცა, ეს თანხები რატომღაც მისთვის საკმარისი არ იყო და დოლაბერიძემ კიდევ 6%-ის დამატება მოგვთხოვა. ეს ყველაფერი მუშა-მოსამსახურეების კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახებოდა. 5 წლის განმავლობაში 162 890 ლარი წავიდა დარგის პროფკავშირებში და მუშა-მოსამსახურეებს ერთი თეთრი უკან არ დაბრუნებიათ. ყოველთვის დავა და კამათი გვქონდა, თუ რატომ ვაძლევდი

“როგორ შეიძლება 3000-მდე თანამშრომელი ზაწოლით გამოიყვანო პროფკავშირებიდან? ეს არის ენის ძუილი მათი ღირებულის მხრიდან. პროფკავშირული მართლმართაბა ხალხს შეაშინებია მათივე კეთილდღეობისთვის, მაგრამ საე არის ის თანხები, რას პროფკავშირთა საწევროში შევიღებ? კომპანია “არემჯი” მხოლოდ 2014 წელს თანამშრომელთა დახმარების სახით 77 217 ლარი გამოყო. ეს ხდება მაშინ, როდესაც პროფკავშირთა მხრიდან ერთი თეთრიც კი არ მიუღიათ სოციალურად გაჭირვებულ თანამშრომლებს, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ. ჩვენი გამოცხადება პროფკავშირთა რიგებიდან მათ მიერ სიყრუაობა აგებულ საუბრობის შედეგია და სხვა არაფერი!” - განაცხადა “არემჯი გოლდის” თანამშრომელმა მია მუშაშენიანმა.

გაჭირვებულ მუშებს ფულად დახმარებას.”  
“ჩვენ ვერავითარ პერსპექტივას ვერ ვხედავდით პროფკავშირებისგან და მხარდაჭერას ვერ ვგრძნობდით. მივიღეთ მხოლოდ ის, რომ ერთ მუშტად შეკრული ხალხი შუაზე გაიხლიჩა. ყველაზე გადაწყვიტეთ, რომ პროფკავშირებიდან გამოვუსულიყავით,”- განაცხადა “არემჯი კოპერის” პროფკავშირის ყოფილი წევრმა ზაზა ხმალაძემ.  
მედიის საშუალებით მსგავსი განცხადება გაავრცელეს “არემჯი გოლდის” პროფკავშირების ყოფილი წევრებმა და განმარტეს, თუ რატომ დატოვა პროფკავშირთა რიგები “არემჯის” ათასობით თანამშრომელმა. “მუშათა კოლექტივმა პროფკავშირთა წევრობაზე მხოლოდ იმიტომ ვთქვით უარი, რომ აღარ გვინდოდა ისეთი “სიმართლის” მოსმენა პროფკავშირთა ლიდერების მხრიდან, რომელიც მხოლოდ ცრუ



# “არემჯის” თანამშრომელთა საკროტესტო აქცია “რუსთავი 2“-ის შენობასთან



2015 წლის 28 თებერვალს კომპანია “არემჯის” თანამშრომლებმა საკროტესტო აქცია გამართეს ტელეკომპანია “რუსთავი 2“-ის შენობასთან, სადაც მათ ევა კვესიტაძის საავტორო გადაცემის “განსხვავებული აქცენტების” საყდრისთან დაკავშირებული გადაცემა გააპროტესტეს. “რუსთავი 2” ხალხის მტერი ტელევიზია”, “ევა, ნაც. აქცენტები მოიცილე”, “ნიკა გვარამია ნაც. პროკურორი”, “რუსთავი 2” ნაც. პროკურატურა”- ორი საათის მანძილზე ასეთი ტრანსფარანტებითა და გამოსვლებით მიმართავდნენ აქციის მონაწილეები “რუსთავი2“-ს. “საყდრისი-ყაჩაღიანზე გასული სიუჟეტები აჩვენებს, რომ ყველაფერი მოგონილია. ჩვენ თავი დაგვანებონ და მოგვცენ იმის საშუალება, რომ ვიმუშაოთ. ნუ იყენებენ ამ თემას პოლიტიკური მიზნისთვის. მოვითხოვთ, ევა კვესიტაძემ პასუხი გავცეს, რატომ



“2 წლის განმავლობაში მიდიოდა დავა, რომლის დასრულების შემდეგ ჩვენ მოგვეცა მუშაობის გასაგრძელებლად ლიცენზია. სანარმო უნდა ამუშავებულიყო და დღეს ცდილობენ ააგორონ ახალი სკანდალი, რომ შეჩერდეს სანარმოს მუშაობა და ეს ხალხი დარჩეს უმუშევარი. მივმართავთ ევა კვესიტაძეს და იმ ადამიანებს, რომლებიც ამის უკან დგანან, რომ არჩვენების წინა პერიოდში ნუ იყენებენ ამ თემას პოლიტიკური მიზნებისთვის!”- ბურაბ ასლანიშვილი, აქციის მონაწილე

“ჩვენი აქ მოსვლის მიზანი არის მხოლოდ ერთი - გავაგებინოთ “რუსთავი 2“-ს, რომელიც აგებულია მხოლოდ და მხოლოდ სიცრუეზე, რომ მოეშვას დემინფორმაციის გავრცელებას და გაუშვას მხოლოდ სიმართლე. ევა კვესიტაძე არის მარიონეტი ჟურნალისტი, რომელიც ასრულებს კონკრეტულ დავალებას, რომ შეურაცხყოს კომპანიის იმიჯი. ჩვენ ვთვლით, რომ ეს კონკრეტული გადაცემა და ზოგადად ტელევიზია არ არის სიმართლეზე დაფუძნებული.



ჩვენი პროტესტის მიზანია, რომ გონს მოეგონ და ნუ გაავრცელებენ ამდენ სიცრუეს საყდრისთან დაკავშირებით,”- გიორგი ნასყიდაშვილი, აქციის მონაწილე.

## დასაწყისი პირველ გვერდზე

დაპირებებსა და მხოლოდ სიცრუეზე იყო აგებული. მათი ე.წ. “სიმართლე” ემსახურებოდა მხოლოდ მუშა- მოსამსახურეების შეცდომაში შეყვანას და კომპანიის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებას. საბოლოოდ, ალბათ, მათი მიზანი არეულობის შეტანა და სოციალური აფეთქების გამოწვევის მცდელობა იყო, რაც ნამდვილად ვერ გამოუვიდათ, რადგან ჩვენ დროულად დავტოვეთ მათი რიგები,”- ნათქვამია განცხადებაში. კომპანიის პროფესიულ კავშირთა ყოფილი წევრები იმედს გამოთქვამენ, რომ ახლო მომავალში შეიქმნება საინიციატივო ჯგუფი და სანარმოში ჩამოაყალიბებენ ერთიან და დამოუკიდებელ მუშათა პროფესიულ კავშირს, სადაც სანევროში შემოსული

თანხები მათსავე კეთილდღეობას მოხმარდება. პროფკავშირთა ლიდერების - ირაკლის პეტრიაშვილისა და თამაზ დოლაბერიძის, ცილისწამება უპასუხოდ არ დაუტოვებია არც კომპანია “არემჯის” ადმინისტრაციას. “არემჯი” ჯგუფის კომპანიებში დასაქმებულთა მიერ პროფკავშირის რიგების დატოვებასთან დაკავშირებით ბოლო დროს გავრცელებულ არაერთი ცილისწამებულური განცხადების პასუხად კომპანიის ადმინისტრაცია კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის თამაზ დოლაბერიძისა და პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის

ირაკლი პეტრიაშვილის მიერ გავრცელებული ცილისწამებულური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოსდა ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციის მხრიდან თანამშრომლების იძულებას, მუქარასა და ზენოლას პროფკავშირის რიგებიდან გასვლის მიზნით. კომპანიის ადმინისტრაცია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ იგი არასდროს ჩარეულა პროფკავშირული ორგანიზაციის შიდა საქმიანობაში და თანახმაა მომავალშიც გააგრძელოს მჭიდრო თანამშრომლობა სანარმოს მუშა- მოსამსახურეებთან მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით.”- ნათქვამია ამა წლის 27 თებერვალს კომპანია “არემჯის” სახელით გავრცელებულ განცხადებაში.



# “არემჯი” ანსამბლ “მართვეს” დააფინანსებს

მოტიდავებისა და მინი ფეხბურთელების შემდეგ, “არემჯი” თებერვლის თვიდან დაბა კაზრეთის ქორეოგრაფიულ ანსამბლ “მართვესაჲ” დააფინანსებს. სტუდიაში 120 ბავშვია და თითოეულის თვიური გადასახადი 25 ლარს შეადგენს. კომპანია 120-ივე მოცვეკვავის სწავლის საფასურს მთლიანად დაფარავს.

“33-წლიანი არსებობის მანძილზე ჩემს ანსამბლთან დაკავშირებით არასდროს მსგავსი რამ არ მომხდარა. ეს პირველი შემთხვევაა! ვფიქრობ, ასეთი დამოკიდებულება კომპანიის ახალი მენეჯმენტისა და ახალი ხედვის დამსახურებაა. დახმარებასთან ერთად გამკაცრდა სწავლებაც, რამაც გარკვეულწილად უკვე მოიტანა შედეგი - ბავშვების მხრიდან გაცდენები თითქმის არ არის. მშობლებს დამატებითი ხარჯების გაღება ფორმებისთვის და სხვადასხვა ღონისძიებებისთვის უფრო გაუადვილდებათ. დიდი მადლობა “არემჯის”! მათი მხრიდან ვიგრძენით დიდი სტიმული და მხარდაჭერა და ჩვენც, ჩვენის მხრივ, შევეცდებით ვასახელოთ როგორც კომპანიის, ასევე რეგიონის სახელი. უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო მხოლოდ დახმარება, ეს კომპანიის მხრიდან იყო თითოეული მშობლისა და შვილის დიდი დაფასება,” – გია ტატიშვილი, ანსამბლ “მართვეს” ქორეოგრაფი.

“მინდა მშობლების სახელით კომპანიის ხელმძღვანელობას გადავუხადო მადლობა ასეთი სახით დახმარებაზე. ეს ჩვენი ბავშვებისთვის უფრო მეტი სტიმულის მომცემია. ძალიან კარგია, როდესაც ყოველთვიური გადასახადის გადახდა აღარ მოგვიწევს,”- ნინო ხორბალაძე, მშობელი.  
“ეს ბავშვები წლების



განმავლობაში დადიან ცეკვაზე, მაგრამ არ გვახსოვს, რომ ვინმესგან, თუნდაც ერთი ლარის ოდენობით რაიმე სახის დაფინანსება მიგველო. ყველა გახარებულია ამ ამბით, რადგან მშობლებს, კომპანიის წყალობით, მოგვეცა იმის საშუალება, რომ დავზოგოთ ფინანსები და სხვა საქმეს მოვასმაროთ, თუნდაც, ჩვენი მოცვეკვავების ტურებს. ამ ბავშვების წარმატება არა მხოლოდ კომპანიისა და დაბის, არამედ მთელი რეგიონის სახელი იქნება.”- ნინო ბერუაშვილი, მშობელი.  
“თებერვლის თვეში, როდესაც ჩვენმა ქორეოგრაფებმა გვითხრეს, რომ სწავლება იქნებოდა უფასო, ძალიან

გავვიხარდა. გადასახადს აღარ ვიხდით და ოჯახშიც შეიცვალა ფინანსური მდგომარეობა. ბევრი ვეღარ ახერხებდა სიარულს, მათ შორის მეც, მაგრამ დაფინანსების შედეგად ჩვენ ისევ “მართვეს” წევრები ვართ და ვაგრძელებთ მეცადინეობას. მადლობა “არემჯის” დახმარებისთვის!” – ხატია ასლანიშვილი, ანსამბლ “მართვეს” წევრი.  
“პირადად მე ძალიან გამიხარდა, უფასო რომ გახდა სწავლება ანსამბლში. ძალიან ბევრი ბავშვი იყო ჩემს ჯგუფში, რომლებსაც უნდოდათ ცეკვაზე სიარული, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო თავი დაანებეს. მათ გაუჩნდათ შესაძლებლობა, რომ დაუბრუნდნენ ანსამბლს და გააგრძელონ მეცადინეობა. მაგალითად, ჩემი ოჯახიდან ორნი დავდივართ, მე და ჩემი ძმა. გვინდოდა, რომ მესამე წევრიც დაგვმატებოდა, მაგრამ ეს უკვე დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. დღეს ჩემი მშობლები აღარ იხდიან ამდენ გადასახადს. მადლობა “არემჯის”, იმიტომ, რომ გავახარა ძალიან!” – ნანი ბასილაშვილი, ანსამბლ “მართვეს” წევრი.





### სოფელ ბალიჭის გზა

აღნიშნული გზის აღსადგენად. “არემჭის” წარმომადგენლებს გაეცანია სოფელ ბალიჭის პრობლემა და მათთვის ვთხოვე დახმარება. კომპანიის ხელმძღვანელობამ მაშინვე გამოყო სპეცტრანსპორტი, გრეიდერი, მტვირთავი და მძიმეწონიანი მანქანა გზის შესაკეთებლად. აქტიური მუშაობის შედეგად, დაახლოებით ერთ დღეში, სავალი ნაწილი უკვე გადასწორებული იყო. ფაქტიურად, ხელახლა გავიყვანეთ გზა ზემო ბალიჭის რამდენიმე უბანში. მოხარული ვართ, რომ კომპანიასთან ასეთი თანამშრომლობის შესაძლებლობა გვაქვს, რაც ადრე ნამდვილად არ იყო,”- განაცხადა სოფლის დეპუტატმა.

კომპანია “არემჭის” მძიმე ტექნიკის საშუალებით სოფელ ბალიჭში ის გადათხრილი გზა გაასწორეს, რომელიც საბავშვო ბაღის წყლის სისტემის რეაბილიტაციის შედეგად იქნა დაზიანებული. როგორც სოფლის მკვიდრნი ამბობენ, სატრანსპორტო გზა


უკვე იმდენად იყო დაზიანებული, რომ სასწრაფო დახმარების მანქანაც კი ვერ აღწევდა დანიშნულების ადგილამდე. მათ დახმარებისთვის მიმართეს სოფლის დეპუტატს ტარიელ ჯაყელს, რომელმაც კომპანიას სთხოვა, გამოეყოთ საჭირო მძიმე ტექნიკა

## “არემჭიმ” გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარებაზე თენდერში გამარჯვებული გამოავლინა

კომპანია “არემჭიმ” ტენდერის საფუძველზე ის გარემოსდაცვით-საკონსულტაციო ორგანიზაცია გამოავლინა, რომელიც შპს “არემჭი გოლდისა” და სს. “არემჭი კოპერის” კუთვნილ სამთო-მოპოვებით სანარმოებში გარემოსდაცვით აუდიტს ჩაატარებს. ტენდერში აიპ “გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელმა კომისიამ” გაიმარჯვა, რომელიც მაღალკვალიფიციური და დამოუკიდებელი ექსპერტებით არის დაკომპლექტებული. პროექტში ქართველ სპეციალისტებთან ერთად

ევროკავშირის ქვეყნების შესაბამისი ინსტიტუციების მიერ აღიარებული შვედი და უკრაინელი გარემოსდაცვითი აუდიტორები მიიღებენ მონაწილეობას. გარემოსდაცვითი აუდიტის მიზანია უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მაჩვენებლების დამოუკიდებელი შეფასება შპს “არემჭი გოლდისა” და სს. “არემჭი კოპერის” კუთვნილ სამთო-მოპოვებით სანარმოებში, რომლებიც ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში მდებარეობს. 2 კვირის ვადაში შერჩეული კომპანია, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად,

წარმოადგენს ჩასატარებელი აუდიტის გეგმას, რომლის საჯარო რეზენტაციასაც კომპანია “არემჭის” წარმომადგენლები და პროექტში მონაწილე ექსპერტები ერთობლივად გამართავენ. კომპანია “არემჭიმ” გარემოსდაცვითი აუდიტის ტენდერი ამა წლის 19 თებერვალს გამოაცხადა და მასში მონაწილეობას საქართველოს გარემოსდაცვით-საკონსულტაციო სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები იღებდნენ.



**ფოტოფაქტი:** კომპანიამ გასულ თვეს დასაქმებული პერსონალისთვის საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი 700 ერთეული ბრენდირებული ეურთუკი შეიძინა. უახლოეს პერიოდში ასევე იგეგმება სპეცფეხსაცმლისა და სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების განახლება.